

(20) ყურადღებით წაკითხეთ ტესტი და გაასწორეთ მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სტილისტური და სინტაქსური შეცდომები. შემდეგ კი გადაწერეთ ტესტი:

მარიამ ორბელიანი დაიბადა 1852 წელს თბილისში. მამამისი ვახტანგ ორბელიანი თეკლა ბატონიშვილის უმცროსი ვაჟი იყო. მარიამმა შეისწავლა არა ერთი ევროპული ენები. 1886 წელს დაარსა ქალთა საზოგადოება რომელიც აქტუალურად იბრძოდა ქალთა უფლებების დასაცავათ. მარიამმა შესძლო ათიათასი მანეთი შეეგროვებია ქალთა დასახმარებლათ. მან გარდა ამისა მოახდინა ქალთა სკოლის გახსნა და ღვაწლი შეიტანა სამუსიკო განათლებაში, კერძოდ ისეთ საქმეში, როგორც კონსერვატორიის გახსნაა.D -----

(15) წაკითხულის გააზრება

ყურადღებით წაკითხეთ ქვემოთ დამოწმებული სტროფები „ავთანდილის ანდერძიდან“ და უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

დაჯდა წერად ანდერძისა, საბრალოსა საუბრისად:

"ჰე მეფეო, გავიპარე ძეზნად ჩემგან საძებრისად!

ვერ დავდგები შეუყრელად ჩემთა ცეცხლთა მომდებრისად;

შემინდევ და წამატანე მოწყალება ღმრთეებრისად.

(1) სტროფიდან ამოიწერეთ ერთი სიტყვა, რომლითაც შეფასებულია ავთანდილის ანდერძი;

(1) სტროფიდან ამოიწერეთ ორსიტყვიანი მეტაფორა

(1) რას მიიჩნევს ავთანდილი ღმერთის უმთავრეს თვისებად?

ვიცი, ბოლოდ არ დამიგმოზ ამა ჩემსა განზრახულსა.
კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა;
მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან სწავლა-თქმულსა:
"სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა".

(1) რა თვისებას ამჟღავნებს ავთანდილი I სტრიქონის მიხედვით?

(1) ვის მიიჩნევს ავთანდილი ცხოვრების მაგალითად?

რათგან თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა,
მე რად გავწირო მოყვარე, ძმა, უმტკიცესი ძმობისა?!
არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილასოფოსთა ბრძნობისა!
მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა.

(1) რა მიაჩნია ავთანდილს ძმობაზე უფრო ახლო კავშირად?

(1) რა თვისებას ამჟღავნებს ავთანდილი III სტრიქონის მიხედვით?

(1) რისთვის სჭირდება ადამიანს ცოდნა IV სტრიქონის მიხედვით

წაგიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ?
ვით იტყვიან, ვით აქბენ? ცან, ცნობანი მიაფერენ.
"სიყვარული აღგვამალლებს", ვით ეუვანნი, ამას ჟღერენ,
შენ არ ჯერ ხარ, უსწავლელნი კაცნი ვითმცა შევაჯერენ!

(1) რა არის საჭირო მოციქულთა სიბრძნის გასაგებად?

(2) ამოიწერეთ შედარება და შედარების ორივე ობიექტი

(1) როგორი კაცია მეფე, ავთანდილის აზრით?

ვინ დამბადა, შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთად,
ვინ არს ძალი უხილავი შემწედ ყოვლთა მიწიერთად,
ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად,
იგი გაჰხდის წამის-ყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად.

(1) II სტიქონიდან ამოიწერეთ უფლის რომელიმე ერთსიტყვიანი მეტაფორა

(1) ამოიწერეთ სიტყვა, რომელიც ნიშნავს ამ ყველაფერს ერთად: უფალი
მართავს, განაგებს, ფლობს, აწესრიგებს

(1) უფლის რა თვისება ჩანს მეოთხე სტრიქონში?